

## ფეხბურთი

ფეხბურთელთა ნაკრები უნივერსიტეტში ფიზიკური აღზრდის კათედრის დაარსების დღიდან შედგა. დროთა მანძილზე უძლიერეს გუნდად ჩამოყალიბდა. დაკომპლექტებული იყო ისეთი მოთამაშეებით, როგორც იყო კახი ასათიანი.

უნივერსიტეტის ფეხბურთელები წარმატებულად გამოდიოდნენ საუნივერსიტეტო და საქართველოს ჩემპიონატებზე. აღსანიშნავია, 2007 წლის ქ. თბილისის პირველობა ფუტსალში, სადაც უნივერსიტეტის ფეხბურთელთა ნაკრები ჩემპიონი გახდა, 2008 წელს კი „უნივერსიადის“ პირველობა მოიპოვა მინი ფეხბურთში.

დღეს, სპორტული ცენტრის ახალი ინიციატივით, აგრარული უნივერსიტეტის ფეხბურთელთა სტუდენტურ ნაკრებს ხელმძღვანელობენ სტუდენტები – წარმატებული სპორტსმენები: ბექა ლლონტი (კვების პროდუქტების ტექნოლოგიის ფაკულტეტი) და ამირან ბურდილაძე (ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი).

